

# ნუთუ „ქოცხაბა“ თაჰაღჰე უღალატენს „ოცხეხას“?!

## სამართლებელთა



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინგ ბეჭდუბი სიფყავა, ფყილიბით ღა ჭბრებით ბუბ-თის გაცანა ცუღა უჯდბინბბაჯე უსბბაგლისია.

ბაიოღის 1918 წლის 25 ივლისიღან

# რეპრეზენტაციის

სამშაბათი, 30 ოქტომბერი. 2018 წ. №216-217 (8617-8618)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თათრი

## ჭიტლაყი, როგორც უიღლაბა, კუბოზე დაჭედებული ლურსმანი აღმორღას!



ამომრჩეველმა ჭიტლაყი ამოჰკრა ხელისუფლებას – მხოლოდ ასე უიღლაბა შეჰვაზბსოთ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგი.

მოხდა ის, რაც „ქართული ოცნების“ მოჩვენებითი კეთილდღეობის წიაღში დიდი ხანია, მწიფდებოდა, თანაც ისე, რომ ამას ხელისუფლების გარდა ყველა ხედავდა, ამჩნევდა და გრძნობდა.

ეს „მწიფობა“ კი გამოიხატებოდა პარტიის (ანუ ხელისუფლების) ხელმძღვანელობის გასაოცარ გულარხეინობაში, პირწმინდად გაბიუროკრატიებაში (ვერსად ვერ შეხვალ, მთხოვნელს არსად მიგიღებენ, არ მოგისმენენ);

მმართველი პარტია მოწყდა ხალხს, ვეღარ აღიქვამდა საზოგადოების მძიმე განწყობას.

შედეგმაც არ დააყოვნა.

მორგებულად თქვა ანა დოლიძემ ორშაბათ დიღას, „ამომრჩეველმა ორიანი დაუნერა და საშემოდგომო გამოაყოლა „ქართულ ოცნებასო“.

ამ პარტიის ყველაზე დიდი შეცდომა, რისთვისაც ამომრჩეველმა ორიანი დაუნერა, ის კოჰაბიტაციური ილუზია იყო, რომელიც „ქართული ოცნების“ ლიდერმა მჭიდროდ

მოირგო და საზოგადოებასაც მოარგო, მიუხედავად იმისა, რომ ამ „შემრიგებლურმა თეორიამ“ არ იმუშავა, პირიქით მოხდა – დამარცხებული ნაციონალები აალორძინა, შეკრა და რევანშისტვის განაწყო.

ხელისუფლებამ ვერაფერი დაუპირისპირა (რაც მთავარია, არც მოინდომა) ყალყზე შემდგარი, გაბოროტებული ოპოზიციის მთავარ ურნალს „რუსთავი-2“-ს, ის კი არა, ფაქტობრივად ფეხებზე ეკიდა გაზეთებში დაბეჭდილი მისი მხარდამჭერი მასალებიც კი.

საშიშროებად და უპატივცემულობად აღიქვა საზოგადოებამ სწორედ რომ უდროო დროს წამოწყებული ბატალიები მარხუანას გარშემო, საზოგადოების მიერ დამნაშავედ აღქმული პირებისთვის გამოკვეთილად ხელის დაფარება და სხვ.

ხელისუფლებამ უმთავრეს საზრუნავად არ გაიხადა პენსიონერი, „დაპინჰადა“, რომ ეს უზარმაზარი მასა 700 ათასი ამომრჩეველისგან შედგება.

რაც მთავარია, პრეზიდენტობის კანდიდატს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, „ქართულმა ოცნებამ“ მხარი კი დაუჭირა, მაგრამ არ იზრუნა, რომ „სპინრაიტერებით“ უზრუნ-

ველეყო, რათა მისი სახალხო გამოსვლები „ყოველმხრივ დაჭედილი“ ყოფილიყო და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ, ჩასაფრებულმა კრიტიკოსებმა მის გამონათქვამებს ისეთი კუდები გამოაბეს, რომ ქვეყანა ააბუნტეს.

დაბოლოს, ხელისუფლებამ, მმართველმა პარტიამ ვერ შეძლეს ამომრჩეველის, მხარდამჭერის მიყვანა საარჩევნო უბნებში.

ყოველივე ამას ნიშნის მოგებით არ ვამბობთ, იმიტომ ვამბობთ, რომ თითზე კბენანი ჯერ კიდევ არ არის გვიან!

წინ მეორე ტურია.

ჯერ კიდევ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება.

მმართველმა პარტიამ უნდა გაითვალისწინოს, რომ მთელი ოპოზიციური სპექტრი (და არა მარტო „ევროპული საქართველო“) გრიგოლ ვაშაძის გარშემო შეიკვრება. ერთპროცენტიაანმა რესპუბლიკელებმაც კი გამოაცხადეს ეს შეკვრა...

ჰოდა, მმართველი პარტია, თუ არ უნდა 28 ოქტომბრის ჭიტლაყი საერთოდ, კუბოზე დაჭედებულ ლურსმნად ექცეს, მეორე ტურისთვის თავის თავს უნდა გადაახტეს, ყველაფერი ილონოს გამარჯვებისთვის.

უპირველეს ყოვლისა, ხალხს მოუხადოს ბოდიში უნიათობისა და უნდობისთვის და ხელები დაიკაპინოს. ეს მისი ბოლო შანსია.

ისევე მოკალაღური ნარსულისკენ თუ აღაპიანური მოგაპლისკენ! ნუთუ „ოცხეხა“ დაენაშავე ნაციონალების მოგრუნებაზე ოცხეხობს?!

ნუ დაგვაპინჰდება, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემომ ტური სამართებელთა მოგაპლის ზეღის განმსაზღვრელია!

კახა კალაძე: ამ არჩევნებით ხალხმა გამოვლინა შეტყობინება, რომ ქვეყანაში ბევრი რამე უნდა იქნას

სირცხვილი იმ ამომრჩეველს, ბოროტება სიკეთისგან რომ ვერ ბაჰარჩევია! როგორც ჩანს, შეჩვეულ ჭირს, მეტადრე იმ ცხრაწლიან ჭირს, მართლა შეჩვევა სცოდნია, ვიდრე შეუჩვეველ ლხინს, რომლისკენაც, სამწუხაროდ, ბრმად და მგრისა და მოყვრის განურჩევლად ვისწრაფვით!

ყველა საარჩევნო უბნის შედეგები დათვლილია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ყველა საარჩევნო უბნის შედეგები დათვლილია. კანდიდატების მიერ მიღებული ხმაები ასეთია: სალომე ზურაბიშვილი, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატი - 615 624 ხმა (38,64%); ბრიგოლ ვაშაძე, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი - 601 188 ხმა (37,74%); დავით ბაძრაძე, „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი - 174 753 ხმა (10,97%); შალვა ნათელაშვილი, „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატი - 59 625 ხმა (3,74%); ზურაბ ჯაფარიძე, „გირჩი“ - 36 023 ხმა (2,26%); დავით უსუფაშვილი, „შენების მოძრაობა“ - 36 006 ხმა (2,26%).

ცესკო-ს ინფორმაციით, არჩევნების მეორე ტური გაიმართება, სადაც გაირკვევა, ვინ გახდება საქართველოს მე-5 პრეზიდენტი. მეორე ტური 2 დეკემბრამდე უნდა დაინიშნოს.

ბრიგოლ ვაშაძე თბილისში ლიდერობს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, თბილისში ამომრჩევლის ყველაზე მეტი ხმა გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატმა ბრიგოლ ვაშაძემ მიიღო. ბრიგოლ ვაშაძემ 153 204 ხმა მიიღო, ხოლო სალომე ზურაბიშვილმა - 149 044. რაიონების მიხედვით შედეგები ასე გამოიყურება:

- მთაწმინდა - ბრიგოლ ვაშაძე - 7971 ხმა (31,32%); სალომე ზურაბიშვილი - 9573 ხმა (37,62%); ვაკე - ბრიგოლ ვაშაძე - 14906 ხმა (29,4%); სალომე ზურაბიშვილი - 18849 ხმა (37,18%); საბურთალო - ბრიგოლ ვაშაძე - 19021 ხმა (30,4%); სალომე ზურაბიშვილი - 23495 ხმა (37,55 %); კრწანისი - ბრიგოლ ვაშაძე - 6689 ხმა (38,27%); სალომე ზურაბიშვილი - 6488 ხმა (37,12%); ისანი - ბრიგოლ ვაშაძე - 16957 ხმა (39,18%); სალომე ზურაბიშვილი - 16856 ხმა (32,02%); სამგორი - ბრიგოლ ვაშაძე - 23826 ხმა (41,95%); სალომე ზურაბიშვილი - 16978 ხმა (29,9%); ჩუღურეთი - ბრიგოლ ვაშაძე - 8914 ხმა (33,56%); სალომე ზურაბიშვილი - 10358 ხმა (38,99%); დიდუბე - ბრიგოლ ვაშაძე - 10370 ხმა (30,98%); სალომე ზურაბიშვილი - 12907 ხმა (38,56%); ნაძალადევი - ბრიგოლ ვაშაძე - 20576 ხმა (36,63%); სალომე ზურაბიშვილი - 18758 ხმა (33,4%); გლდანი - ბრიგოლ ვაშაძე - 23974 ხმა (40,07%); სალომე ზურაბიშვილი - 17782 ხმა (29,72%);

დარღვევები იმ მასშტაბის არ არის, რომ საფრთხე შეუქმნას არჩევნების შედეგს

ამის შესახებ ეუთო-ს მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი კრისტინა ვიგენინი განაცხადა. „არჩევნებამდე პერიოდში ხარვეზები იყო და ეს ეხებოდა სამართლებრივ ბაზას, კანდიდატების ქცევას, კერძო მედიასაშუალებებს, მათ იმოქმედეს კამპანიაზე, მაგრამ არჩევნების დღე ისე ჩატარდა, რომ შედეგებს კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს“.



განაცხადა ვიგენინი. მანვე იმედი გამოთქვა, რომ მეორე ტურისთვის ხარვეზების ნაწილი გამოირიცხება და აღნიშნა, რომ ამომრჩეველი აუცილებლად უნდა მივიდეს მეორე ტურში.

ირაკლი კობახიძე: დარწმუნებული ვარ, რომ მეორე ტურში გაიმარჯვებთ!



„ჩვენ ვთქვით, რომ ყოველი მეორე ამომრჩეველი მხარს „ქართულ ოცნებას“ უჭერს. ამ შემთხვევაში ეს დაახლოებით ასე იყო, თუმცა ცოტა დაგვაკლდა, რომ პირველ ტურში გაგვემარჯვებინა. შესაბამისად, დღევანდელი სურათი ასეთია, რომ საჭიროა მეორე ტური, თუმცა ჩვენ ვამბობდით, რომ ეს შესაძლებელი იყო. დარწმუნებული ვართ მეორე ტურში გამარჯვებაში“, - განაცხადა ირაკლი კობახიძე.

არაპოზიტივი ეიფორია, არაპოზიტივი ზაიმი...

ღირსების არჩევნებში საქართველოს მოქალაქე უკვე თავისი მტკიცე პოზიცია გამოხატა, - ამის შესახებ გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატმა ბრიგოლ ვაშაძემ განაცხადა. მისი თქმით, ღირსების არჩევნები შედგა.



ვაშაძემ გამართულ ბრიფინგზე ამომრჩეველს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის და მოუწოდა, მეორე ტურში აქტიურობისკენ. მისი თქმით, ფინანსური რესურსის მობილიზების მიუხედავად, მმართველმა გუნდმა გამარჯვებას პირველივე ტურში ვერ მიაღწია. „მაქვს თხოვნა, არანაირი ეიფორია, არანაირი წინასწარი ზეიმი, ჩვენ წინ გვაქვს მეორე ტური, რომელსაც აუცილებლად მოვიგებთ და საქართველოში დაინყება ხელისუფლების ცვლა. ეს უკვე გარდაუვალია. ღირსების არჩევნებში საქართველოს მოქალაქე უკვე თავისი მტკიცე პოზიცია გამოხატა“, - განაცხადა ვაშაძემ.

„ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის კახა კალაძის განცხადებით მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით საზოგადოებამ მმართველ პარტიას შეტყობინება გაუზავნა, რომ საქართველოში ბევრი რამ უნდა იქნას.



ეს განცხადება მან ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. „პირველ რიგში, მთელი ჩვენი პოლიტიკური გუნდის სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს მოქალაქეებს, ამომრჩეველს, ვინც მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინა და მივიდა არჩევნებზე. ასევე, მადლობა დამვირგვებლებს, უცხოელ პარტნიორებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სამართალდამცავებს, საარჩევნო ადმინისტრაციას და მედიას. განსაკუთრებული მადლობა გვიწადა, გადავუხადოთ ჩვენს ერთგულ ამომრჩეველს, რომელსაც ოპოზიციის უპრეცედენტოდ ნეგატიური კამპანიის მიუხედავად, ჩვენს მხარდაჭერით კანდიდატის მისცა ხმა. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგებმა არაერთი მნიშვნელოვანი რამე ცხადვყო.

ქართველ ხალხთან ერთად, სწორედ ჩვენი ხელისუფლების პირობებში მოხერხდა, რომ ვცხოვრობთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობას არჩევნებისადმი ნდობა და არჩევნის თავისუფლება დაუბრუნა. საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვებულს ჩვენს მხარდაჭერად, მეორე ტურის დანიშნვის საჭიროება, საპარტიო დონის ჩვენ მიერ დამკვიდრებულ მაღალ პოლიტიკურ სტანდარტზე მიუთითებს და ამას მთელი საქართველოს თანამემობრობა და თითოეული მოქალაქე ნათლად ხედავს. სწორედ „ქართული ოცნება“ არის და იძნება გარანტი, რომ საპარტიო დონის არჩევნები არასდროს გახალებულა!

რაც მთავარია, ამ არჩევნებით ხალხმა გამოვიჩინა შეტყობინება, რომ შედეგად გარკვეულწილად ყველას გვექონდა, რომ ქვეყანაში ბევრი რამე უნდა იქნას, შესაცვლელია სწრაფად, ეფექტურად და თითოეული მოქალაქის ინტერესის გათვალისწინებით. სამხ უხაროდ, როგორც ყველა ხელისუფლებას, ჩვენც ძალაუფლების კონცენტრაციამ, შეიძლება ითქვას გადაჭარბებული თვითდაჯერებულობა შეგვმატა და შესაბამისად, მთელ რიგ შემთხვევებში არ ხდებოდა ადეკვატური უკუკავშირი, კომუნიკაცია საზოგადოებასთან.

ამის შედეგი იყო ისიც, რომ მსოფლიო შიდა კვლევების მონაცემებს ვეყრდნობოდით, რამაც კიდევ უფრო შესუსტა განწყობების აღქმა. თუმცა ყველა ჯანსაღი პოლიტიკური ორგანიზაციისთვის მსგავსი „გამოფხიზლება“, ასალი და ეფექტური რეაგირების, სწრაფი ცვლილების დასაბამია.

სწორედ ამას უნდა საუბრობდა ბიძინა ივანიშვილიც, პარტიის თავმჯდომარის პოსტზე დაბრუნებისას: გუნდში გასაძლიერებელია პოლიტიკური მენეჯმენტი, გასაძლიერებელია კომუნიკაცია, გასაძლიერებელია ინსტიტუტები, გადამწყვეტილებები უნდა გახდეს უფრო სწრაფი და ეფექტიანი, შედეგზე, ადამიანების რეალური პრობლემების გადამწყვეტაზე ორიენტირებული. გზავნილი მიღებულია და ჩვენ მზად ვართ, ქმედითი ნაბიჯებით ვუპასუხოთ ამ გამოწვევას.

ბუნებრივია, ჩვენ ვართ თვითკრიტიკულები, ვიღებთ პასუხისმგებლობას ყველა სუბიექტური ფაქტორის აღმოფხვრაზე, თუმცა პრობლემებს აქვს ობიექტური მიზეზებიც - მძიმე ეკონომიკური ვითარების ფონზე, ბოლო რესურსებით ამუშავებულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ და სრულიად ნეგატიურმა კამპანიამ თავისი შედეგი გამოიღო. ჩვენ საპასუხო რეაქციის ვეკონტაქტით ჩვენს ოპონენტებს, რა დროსაც, საზოგადოების რეალური პრობლემები გვერდით დარჩა. სწორედ ის პრობლემები, რომელთაც მხოლოდ ერთად დგომით შევძლებთ გამკლავებას.

არჩევნების შედეგში ჩვენი ამომრჩევლის ნაკლები მობილიზაციის ერთ-ერთ მიზეზად იმასაც განვიხილავთ, რომ პარტიამ არ წარადგინა საკუთარი კანდიდატი და დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერა შესუსტა ჩვენი ამომრჩევლების მობილიზაციის პროცესი.

დარწმუნებულები ვართ, რომ მეორე ტურში, როცა ნათლად გამოიკვეთა ორი პოლუსი, როცა არჩევანი გასაკეთებელია სიცრუესა და სიმართლეს, ძალადობასა და თავისუფლებას შორის, მოხდება მაქსიმალური კონცენტრაცია და ჩვენ ერთად, აუცილებლად გავიმარჯვებთ საპრეზიდენტო არჩევნებში და რაც მთავარია, ერთად აუცილებლად დავეძლევთ ყველა გამოწვევას“, - განაცხადა კახა კალაძემ.

# მამუკა ბახტაძე: მკაფიო გზავნილი ჩვენს უესდოეპუა



ჩვენ ქართველი საზოგადოებისგან მივიღეთ მკაფიო გზავნილი ჩვენს შეცდომებზე და იმაზე, რა კონკრეტული მოლოდინები აქვს ჩვენს საზოგადოებას იმ კონკრეტულ გამოწვევებთან დაკავშირებით, რაც მათ აწუხებთ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით განაცხადა.

„პირველ რიგში, მსურს, აღვნიშნო, რომ საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდობიან, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარდა, რასაც ადასტურებს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების დასკვნები. ეს 2012 წლიდან, ჩვენი ხელისუფლების პირობებში, ტრადიციულ იქცა და ეს არის სწორედ ქართველი ხალხის მონაპოვარი.

# მოგინოდებთ ყველას, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ მეორე ტურში!

მინდა, მოგიწოდოთ ყველას, აქტიური მონაწილეობა მიიღოთ მეორე ტურში, — ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით განაცხადა.

არავის უნდა დაეზაროს საკუთარი პოზიციის გამოხატვა და დაფიქსირება. ასევე მინდა გავიმეორო ის, რაზეც აქამდეც ვაკეთებდი საზგასმას და ეს არის თხოვნა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მიმართ და მოლოდინი ქართული სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ — მეორე ტურის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. უაღრესად მნიშვნელოვანია იგივე მოცულობით, იგივე სკურპულოზურობით, იგივე ინტენსივობით იყოს სადამკვირვებლო მისიები წარმოდგენილი მეორე ტურის არჩევნების დროს, — განაცხადა მარგველაშვილმა.



ძალაუფლების წყარო საქართველოში არის ხალხი. თქვენ ამას გრძნობთ და

# ქართულ პოლიტიკაში უზარმაზარი ბარდატეხა მოხდა



კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გუშინ, რეალურად, უზარმაზარი გარდატეხა მოხდა ქართულ პოლიტიკაში, — ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილმა დააყენა ქვეყანა ძალიან

მძიმე რეალობის წინაშე და მან ეს უნდა გაითავისოს და უნდა ხვდებოდეს. „ამ პროცესებმა მე დამანახა ის, რაზეც ვლაპარაკობდი 2012 წლიდან, უფრო 2013 წლიდან მოყოლებული. რაზეც ვაფრთხილებდი ბიძინა ივანიშვილს. მე ერთი შეკითხვა მაქვს ბიძინა ივანიშვილთან, ახლა თუ ხვდება, რა გააკეთა, როდესაც ლაპარაკობდა შუას გაკრეფაზე, როდესაც იწყებდა კოჰაბიტაციას, როდესაც მე არჩევნები გამიყვალა 2013 წელს. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებამ დღეს გადაახდევინა ბიძინა ივანიშვილს ფასი იმ დამარცხებით, რომელიც მან იწვნია“, — განაცხადა ბურჯანაძემ.

# დავით უსუფაშვილი მეორე ტურში არც ერთ კანდიდატს არ უჭერს მხარს

როგორც ბრიფინგზე უსუფაშვილმა განაცხადა, ის ვერც ერთ მხარეს ხედავს იმის შესაძლებლობას, რომ რომელიმე კანდიდატი საზოგადოებას გააერთიანებს. მისი თქმით, ერთპიროვნულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ერთპიროვნული „ქართული ოცნება“ არ უნდა ჩაანაცვლოს, საითკენაც, მისივე

თქმით, მიდის ეს პროცესები. „სამწუხაროდ, არც ვაშაძე-საკაშვილი და არც ზურაბიშვილი-ივანიშვილი-ფარცხალაძე არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ რომელიმე მათგანს მე პოლიტიკური მხარდაჭერა გამოვუცხადო მეორე ტურში,“ — განაცხადა უსუფაშვილმა.



# ჩვენი ანგარიში აღნიშნავს რამდენიმე სერიოზულ პრობლემას, მათ შორის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, სახელწიფო მოხელეთა მიერ კამპანიის ჩატარებას და არაბალანსირებულ დაფინანსებას, ე.წ. ტექნიკური კანდიდატების გამოყენებაც დემოკრატიის დამახინჯებაა, — ამის შესახებ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა რასა იუკნევიჩემ განაცხადა.

„ნატოს წევრობა სტრატეგიული ამოცანაა საქართველოში და საქართველო ამით აღიარებს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას, რომლებიც ჩვენი ალიანსის საფუძველს წარმოადგენდა. საქართველო იყო და კვლავ რჩება ლიდერი ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში, დადებითი მაგალითი მშვიდობიანი დემოკრატიული გარდაქმნისა. საქართველოს მეგობრები, ჩვენ მხარს ვუჭერთ და ხელს ვუწყობთ ამ პროცესს. წლების განმავლობაში არა ერთხელ აღვნიშნეთ შემოფოტება იმ საფრთხეებზე, რომლებიც მომდინარეობს ზედმეტი პოლარიზაციიდან, კომპრომისისა და დიალოგის კულტურის არარსებობისგან. ჩვენ ხაზი გავუსვით, რომ ძლიერი დაცვის მექანიზმების გარეშე, ძალაუფლებისა და რესურსების კონცენტრაცია შეიძლება რისკს წარმოადგენდეს დემოკრატიისათვის. სამწუხაროდ, ეს არჩევნები გვიჩვენებს, რომ სხვებული პრობლემები არ იყო ჯეროვნად გადაჭრილი“, — განაცხადა რასა იუკნევიჩემ.

თავდასხმები არასამთავრობოების წინააღმდეგ. ეს ყველა პრობლემა ერთობლიობაში დიდ კონტრასტს წარმოადგენს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან. ამის მიუხედავად, გუშინ ბევრ მოქალაქეს გადაწყვეტილი ჰქონდა, მათი უფლება გამოეყენებინათ და აერჩიათ სახელმწიფოს მეთაური. გულდაწყვეტით აღვნიშნავ, რომ საქართველოს მოქალაქეები ოკუპირებული ტერიტორიებიდან, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ვერ მონაწილეობდნენ ამ არჩევნებში.



ბევრმა დამკვირვებელმა შეიტანა თავისი წვლილი გამჭვირვალე დემოკრატიულ პროცესში. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით, მივსალმო ყველა მათგანს“, — აღნიშნა იუკნევიჩემ.

მან მეორე ტურის შესახებაც ისაუბრა. იუკნევიჩემ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გადაჭრას ის პრობლემები, რომლებიც მათ ანგარიშშია ასახული. „საქართველო პირველად ჩაატარებს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს. იმედია, ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება გადაიჭრას, გადაიჭრება. მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გადაჭრას უფრო ვრცელი პრობლემები, რომლებიც ჩვენს ანგარიშშია აღნიშნული. რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ მათ მხარდაჭერასა და ხელშეწყობას ამ ძალისხმევაში და გავაგრძელებთ კონსტრუქციული დიალოგის წარმოებას. ხელს შევუწყობთ უმრავლესობასა და ოპოზიციას, რის გარეშეც არც ერთი რეფორმა არ იქნება მდგრადი. თუ საქართველო გადაწყვეტს ამას, საქართველო შეიძლება დარჩეს დადებითი მაგალითი რეფორმატორული კურსის და ლიდერი ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში“, — განაცხადა რასა იუკნევიჩემ.

# დავით ზალკალიანი აზერბაიჯანულ კოლეგას უხვდა

საპარლამენტო საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა სტამბოლში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ელმარ მამედიაროვთან. შეხვედრაზე ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრობა და სტრატეგიული პარტნიორობა. მაღალი შეფასება მიეცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის აზერბაიჯანში განხორციელებულ ვიზიტს და ბაქოში გამართულ მაღალი დონის შეხვედრებს. მინისტრებმა მიმოიხილეს რეგიონალური თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს სამხრეთი ფორმატი და ხაზი გაუსვეს თანამშრომლობის ამ ფორმატის დიდ პოტენციალს კულტურული, ხალხთაშორისი და ტურიზმის სფეროში კავშირების გასააქტიურებლად.

რეალიზაციისთვის როგორც არის ერთი გზა — ერთი სარტყელი. მინისტრები ასევე მიესალმნენ ტრანს-ანატოლიური გაზსადენის პროექტის ინაუგურაციას. მინისტრებმა გამოთქვეს მზადყოფნა, აქტიური სამუშაოები გასწიონ საქართველოსა და აზერბაიჯანის სატრანზიტო შემადგენლობის შემდგომი პოპულარიზაციისთვის. მაღალი შეფასება მიეცა ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას; აღინიშნა, რომ აზერბაიჯანი გახლავთ საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი. მინისტრებმა მოიხილეს რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო და შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა ორი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და არსებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების თანახმად მოგვარებისადმი ერთგულება.







მომავალი რელიგია პრეტენზიას აცხადებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე, სხვაგვარად ეს არ იქნებოდა რელიგია, რწმენა. ერთი რელიგიისადმი კუთვნილება გამორიცხავს სხვა რელიგიის იმავდროულ აღიარებას. ამ მხრივ განსაკუთრებით მკაცრი დამოკიდებულება აქვთ ე. წ. აბრაამულ მსოფლიო რელიგიებს (ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი). მაგრამ ამასთან, რელიგია ადამიანს ავალდებულებს, პატივისცემით მოეკიდოს სხვა რელიგიების წარმომადგენელთა რწმენასა და გრძნობებს. ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი, მრავალი საუკუნის მანძილზე ერთმანეთთან გეოგრაფიულ კვებაში იმყოფებიან და უბრალოდ, ვალდებულნი არიან, შეინარჩუნონ მშვიდობა და ერთმანეთისადმი პატივისცემა, თორემ ყველაფერი ჩამოიშლება — სახელმწიფოებრიობაც, ეკონომიკაც, თავად რელიგიაც... კოლონიალიზმის ეპოქიდან მოყოლებული, და, მით უმეტეს, გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში, მოხდა პლანეტის პრაქტიკულად ყველა ძირითადი რელიგიის გეოგრაფიული ურთიერთკვეთა და გადახლართვა. ამიტომ, მშვიდობიანი თანაარსებობა და დიალოგი აქტუალურია ყველა ცივილიზაციურ-კულტურული სივრცისათვის.



# რას უნებობს ბშირობას მოითხოვს...

## რელიგიის საფუძვლო პოტენციალის გამოყენებად

თუმცა, სამწუხაროდ, მსოფლიო ჯერჯერობით შორს დგას ამ ვითარებისაგან. მრავალ სახელმწიფოში ვითარება ყოველდღიურად მძაფრდება. ტერმინი „ტერორიზმი“ უკვე მყარად დამკვიდრდა განვითარებული ევროპული ქვეყნების ისტორიაშიც კი. რელიგიასთან დაკავშირებული პრობლემების რაოდენობა მხოლოდ და მხოლოდ იზრდება. ევროპაში მატულობს ანტი-ისლამური განწყობები, რაც დაკავშირებულია მტოლოგიკური მისიონერული მიზნების მიგრაციასთან და ამ მოვლენით გამოწვეულ სოციალურ პრობლემებთან. ბევრი ადამიანისათვის ისლამი ასოცირდება რელიგიურ შეუწყნარებლობასა და ექსტრემიზმთან. ამ ყველაფერს ემატება კათოლიკურ ეკლესიაში მომხდარი სკანდალები, გამონეული მცირეწლოვანთა გარყვინის ფაქტებთან, განხეთქილების პირას იმყოფება მართლმადიდებელი ეკლესია, როდესაც კონსტანტინეპოლის საპატრიარქო უკრაინას ავტოკეფალია მიანიჭებს. ასტანაში გამართული არც ერთი ექვს ყრილობათაგანი ჯერ არ ჩატარებულა ამგვარ პირობებში. მაგრამ ოფიციალურმა ასტანამ მოახერხა მღვდელმთავრების ერთ მოლაპარაკების მაგიდასთან დასხმა, მიუხედავად უთანხმოებისა.

საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი, რომის პაპის საკანონმდებლო ტექსტების ინტერპრეტაციის საბჭოს თავმჯდომარე კარდინალი ფრანცისკო კოკოპალმიერო, გაეროს ცივილიზაციათა ალიანსის მაღალი წარმომადგენელი ნასირ აბდ ალ-აზიზ ან-ნასერი, ისლამის მახზაბების დაახლოების მსოფლიო ასამბლეის გენერალური მდივანი, აიათოლა მოჰსენ მოჰამადი არაკი, ისრაელის სეზარდელი და აშკენაზური რაბინები იცხაკ იოსები და დავიდ ლაუ, ბუდისტების მსოფლიო თანამეგობრობის ვიცეპრეზიდენტი, ლამა ჩოიჟილუჟინ დამბაჟავი, ჩინეთის დაოსტების ასოციაციის თავმჯდომარე ლი გუანფუ, ეუთოს გენერალური მდივანი თომას გრემინგერი, მსოფლიო ორგანიზაციის „რელიგიები მშვიდობისათვის“ გენერალური მდივანი უილიამ ვენდლი... საერთო ჯამში ყაზახეთმა 80-ზე მეტ დელეგაციას უმასპინძლა მსოფლიოს 45 ქვეყნიდან. აშკარაა, რომ მსოფლიო რელიგიების ლიდერები გრძნობენ ასეთი შეხვედრების აუცილებლობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, მსოფლიო საზოგადოებრიობა წლიდან წლამდე უფრო შორდება სამართლიანი მსოფლიოს იდეას. შეინ მუჰამედ ასმადი ატ-ტაიების თქმით, 2001 წლიდან 2018 წლამდე ავღანეთში, ერაყსა და სირიაში მიმდინარე ომებზე პოლიტიკურმა ძალებმა დაახლოებით მილიარდნახევარი დოლარი დახარჯეს. ეს იმ ფონზე ხდება, როდესაც მსოფლიოში დაახლოებით 750 მილიონმა ადამიანმა არ იცის წერა-კითხვა. ამიტომ სწორად რელიგიური მოღვაწე ხდება განათლებისა და აღზრდის ერთადერთი წყარო, მისაბაძი მაგალითი. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ რელიგიურმა მოძღვარმა ხალხამდე მიიტანოს მშვიდობისა და ტოლერანტობის შესახებ აზრი. მაქსიმალურად დიდი აუდიტორიის მოსაპოვებლად აუცილებელია ახალი მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენება. ამიტომ, პრეზიდენტ ნაზარბაევის ინიციატივით, შეიქმნება საინფორმაციო პორტალი, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს რელიგიური რადიკალიზმისა და ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების

აღსაკვეთი მეთოდოლოგიის შემუშავება-შესწავლა და გამოყენება. რა თქმა უნდა, თვით რიგით მე-9 ყრილობაზეც შეუძლებელია, აღმოიფხვრას ყველა პრობლემა ერთად, ამის მოლოდინი არც არსებობდა. მაგრამ პრობლემა აქტუალურია, რისი მარკვენიელიც ასეულობით უურნალისტების აკრედიტაციაა, ყრილობის მსვლელობისას ჩანერილი იქნა გიგაბაიტობით ინტერვიუ. ყრილობის სპიკერები თანხმდებიან: ღმერთს სურს მშვიდობა და სიყვარული, და სწორედ მშვიდობისა და სიყვარულის გზით, ანუ თავად ღვთის გზით სიარულს შეუძლია გადაარჩინოს კაცობრიობა, ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრები.

რუსეთის მუსლიმების მუფტებისა და სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარემ, რავილ გაინუტდინმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ რელიგიათშორისი დიალოგი მშვიდობის ნამდვილი პრაქტიკაა, რომელიც ამ დიალოგის მონაწილეთაგან უნებობს გამირობას მოითხოვს. ღვთისმსახურნი მზად არიან, გადაადგან ასეთი გამირობის ნაბიჯი, რომელსაც საფუძვლად ყოველი რელიგიის პრინციპი უდევს: მოთმინება, შემწყნარებლობა, სხვა რასისა და რწმენის მიმართ პატივისცემა. აქცენტი ასტანაში ამჯერად გაკეთდა მსოფლიოში ისლამიზმის გავრცელების ნეიტრალიზაციისა და პროფილაქტიკაზე.

ის ფაქტი, რომ ასტანა მეექვსეჯერ ხდება მსოფლიო და ტრადიციული რელიგიების დედაქალაქი, ასევე ფრიალ სიმბოლურია. პრეზიდენტმა ნურ-სულთან ნაზარბაევა თავის გაუმოსვლაში ასეთი ციფრები ახსენა: ქვეყანაში დარეგისტრირებულია 3,5 ათასზე მეტი რელიგიური სუბიექტი, 18 სხვადასხვა კონფესია. ყაზახეთის პოლიეთნიკურობა კონფესიათშორისი და ეროვნებათშორისი მშვიდობის უნიკალური მოდელის საფუძვლად წარმოადგენს.

ყაზახეთი სამართლიანად მიიწვევს მთელი მოსტასაბჭოთა სივრცისათვის საუკეთესო მაგალითად რელიგიური ტოლერანტობის თვალსაზრისით. ეს წარმოადგენს ყაზახეთის ლიდერის, პრეზიდენტ ნაზარბაევის მიმართ პატივისცემის საფუძველს. პრეზიდენტი ნაზარბაევი აღნიშნავს, რომ საერო სახელმწიფოს პირობებში რელიგია და რელიგიური ტრადიციები ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფის საფუძვლიან საფუძვლად დიდი როლი ითვლება. ამიტომაც მოგვევლინა ყაზახური სახელმწიფო კონფესიათშორისი და ცივილიზაციათშორისი დიალოგის ცენტრის შექმნის ინიციატორის როლში. ასეთი დიალოგი მსოფლიოს სჭირდება დღეს, როგორც მანამდე არასოდეს.

გულაბათი რეზილიაჰი



# ჩვენს მოქალაქეებზე კალიან გარკვეული წარმოდგენა მაქვს, გამოვრისხავ, რომ მათ წარსულში დაბრუნება დაუშვან

28 ოქტომბრის არჩევნებში ამომრჩევლისგან მიღებული გზავნილის მიუხედავად, გამოვრისხავ, რომ მათ წარსულში დაბრუნება დაუშვან — ჩვენს მოქალაქეებზე ძალიან მაღალი წარმოდგენა მაქვს, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა. მისი

თქმით, მას იმედი აქვს, რომ მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი მკაფიო მხარდაჭერას მიიღებს. „ყველა იმ ადამიანისთვის, რომელმაც ძალიან ბევრი იბრძოლა ამ ქვეყანაში თავისუფლებისთვის და ადამიანის უფლებების დაცვისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია,

რომ იმ წარსულში აღარ დაგვრუნდეთ. ასლა, მეორე ტურში, სწორედ ამ არჩევანის წინაშე ვდგავართ, სადაც არ არის მესამე ალტერნატივა — არის წარსული ძალადობრივი რეჟიმის დაბრუნება ან ადამიანის უფლებების უფრო მაღალი სტანდარტის გაგრძელება. არჩევანი ასეთია —

გვინდა თავისუფლების გაგრძელება და თავისუფლების პირობებში უკეთესი საქართველოსთვის შრომა, თუ დაგვრუნდეთ წარსულში და დაგვარუნდეთ მოძალადეთა რეჟიმში. დღეს ეს არჩევანი დგას, რაც არის პოლიტიკური და მორალური არჩევანი“, — განაცხადა ეკა ბესელიამ.




# უსსოური პრესა საქართველოში ბაზარული საპრეზიდენტო პრეპენზების შესახებ

„RADIO VOICE OF AMERICA“ (აშშ): საქართველოს ისტორიაში პირველად, საქართველო არჩევნებში გამარჯვებულის გამოსავლენად მეორე ტური გაიმართება, რომელშიც მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე მიიღებენ მონაწილეობას. ეს ინფორმაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) წინასწარი მონაცემებით დასტურდება.

28 ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი, კვლევით ცენტრ „ფსიქოპროექტის“ ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, სალომე ზურაბიშვილი პირველივე ტურში 52,30%-ით იმარჯვებდა და გრიგოლ ვაშაძეს (28,10%) დიდი უპირატესობით უსწრებდა.

„ქართული ოცნების“ ლიდერებმა, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილმა წინასწარ მიულოცეს ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს არჩევნებში გამარჯვება, ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, რომ „ჩვენ მუდამ ვაცხადებდით 53-54%-ს და ახლოს ვართ ეგზიტპოლის შედეგებთან“. სიტუაცია რადიკალურად მომდევნო საათებში შეიცვალა, მას შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხმის დათვის პროცედურის პარალელურად, ცესკომ სპეციალურ ვებ-გვერდზე საუბნო შემაჯამებელი ოქმების ეტაპობრივი ატირება დაიწყო.

შუალამის 00:00 საათისთვის, პარლამენტის თავმჯდომარე და „ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე, რომელიც მანამდე პირველ ტურში გამარჯვებაზე ღიად მიანიშნებდა, იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ მეორე ტურის გამართვა გარდაუვალია: „იმ 1000 საარჩევნო უბ-



**ნის მონაცემებით, რომელიც უკვე დათვლილია, გამოიკვეთა და უკვე ცხადია, რომ შედეგად მეორე ტური, რომელშიც სალომე ზურაბიშვილი და გრიგოლ ვაშაძე მიიღებენ მონაწილეობას. დაგვაკლდა ცოტა, რომ პირველ ტურში გაგვემაჯავა“.** „ქართული ოცნების“ ეგზიტპოლისგან განსხვავებით, მეორე ტურის გარდაუვალობა აშკარა იყო ტელეკომპანია „რუსთაველ-2“-ის ეგზიტპოლის შედეგებით, რომელ-

იც ამერიკულმა კვლევითმა ორგანიზაციამ Edison Research-მა ჩაატარა. ამ ეგზიტპოლით, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებმა ხმების თანაბარი რაოდენობა – 40-40% მიიღეს. მეორე ტურის აუცილებლობა გამოკვეთა კვლევითი ორგანიზაცია BCG Research-ის ეგზიტპოლიტმა, რომელიც „ევროპულმა საქართველომ“ დაუკვეთა.

სამივე ეგზიტპოლიტ „ევროპული საქართველო“ საპრეზიდენტო კანდიდატი დავით ბაქრაძე მესამე ადგილზე გავიდა. დავით ბაქრაძემ დამარცხება აღიარა და მომხრეებს წინასწარ მოუწოდა, მეორე ტურში მხარი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს დაუჭირონ: „თუ იქნება მეორე ტური, რისი ალბათობაც ძალიან მაღალია და მეორე ტურში გავა „ნაციონა-

ლური მოძრაობის“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე, ჩვენ მას მხარს დავუჭერთ და მე მოვუწოდებ ჩვენს მხარდამჭერებს, მას დაუჭირონ მხარი“.

ცესკოს ინფორმაციით, 28 ოქტომბრის კენჭისყრაში, 3 504 082 რეგისტრირებული ამომრჩევიდან, მონაწილეობა სულ 1 637 956-მა მიიღო, რაც საერთო რაოდენობის მხოლოდ 46.74%-ია. ყველაზე მაღალი აქტივობა აჭარაში, კერძოდ ქედში დაფიქსირდა – 64.74%, ყველაზე დაბალი კი ქვემო ქართლში, ქალაქ მარნეულში – 36.47%. შედარებისთვის, წინა, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მოსახლეობის აქტივობამ – 46.6% შეადგინა.

რიგით მეხუთე პრეზიდენტ მოქალაქეები ექვსწლიანი ვადით და პირდაპირი კენჭისყრით ბოლოჯერ ირჩევენ. საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების ისტორიაში მეორე ტურის აუცილებლობა პირველად დადგა.

**საპარტიველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების (პირველი ტურის) შედეგების შესახებ მასალები გამოქვეყნდა უცხოეთის სხვა ქვეყნების მასმედიაშიც.**

კერძოდ, აზერბაიჯანული მედია წერს, რომ სალომე ზურაბიშვილმა წარუმატებლობის მიზეზი თავისივე განცხადებებში უნდა ეძებოს. გამოცემა „შაქინა.აზ“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „სალომე ზურაბიშვილს გამარჯვება აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ წაართვა“ აღნიშნულია, რომ მან ძალზე გაუფრთხილებლად იმოქმედა, როცა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ სომეხ ამომრჩეველთა წინაშე გამოსვლისას ანტიიურქული განცხადებები გააკეთა. პოდა, ამიტომაც ქართველმა აზერბაიჯანელებმა მას მხარი არ დაუჭირეს და ამით გაპრეზიდენტების შანსი გრიგოლ ვაშაძეს მისცეს“.

## ანქვაბი - პატრუშვი, საჯიბა - პუტინი, ბჟანია - ბორბნიკოვი: ვინ ვის კურიკებს მოსკოვიდან აფხაზეთში?!



მიმდინარე წლის დასაწყისში აფხაზეთში კვლავ აგორდა თემა, რომელიც ოკუპირებულ რეგიონში ბოლო 10-15 წლის განმავლობაში დროდადრო სდებოდა აქტუალური, – დე ფაქტო საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის ასაკობრივი ცენზის შეცვლა. არჩევნებამდე ჯერ თითქოს დიდი დროა, თუმცა ვინაიდან „აფხაზეთის კონსტიტუციით“, მსგავსი საკითხები რეფერენდუმის გზით უნდა წყდებოდეს, ეს ცვლილება კი ჯერ ფორმალურადაც არ არის ინიცირებული, ადგილობრივ ანალიტიკოსებს ეჭვი ეპარებათ, რომ ცენზი 2019 წლისთვის რეალურად შეიცვალოს. მით უფრო, რომ ამჟამად ეს მხოლოდ რამდენიმე შესაძლო კანდიდატის, მათ შორის ასაკოვანი პოლიტიკური „მიმენონოსების“ ალექსანდრე ანკვაბისა და სერგეი შამბას ინტერესებში შეიძლება, შედიოდეს, აფხაზ პოლიტიკოსთა ახალგაზრდა თაობა კი ამ ცვლილებებს დღეს უდავოდ ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევდა.

მოქმედი ცენზის თანახმად, პრეზიდენტობის კანდიდატის ასაკის ქვედა

ზღვარი 35 წლითაა განსაზღვრული, ზედა – 65-ით. შედარებით ახლადაჩამოყალიბებულმა „აფხაზეთის სახალხო ფრონტმა“ სამართლიანობისა და განვითარებისთვის“ წლის დასაწყისში წარმოადგინა ინიციატივა ქვედა ასაკობრივი ზღვრის 45-მდე, ხოლო ზედას 75-მდე აწევოს შესახებ, თუმცა ამას გაგრძელება არ მოჰყოლია.

ოკუპირებულ რეგიონში ამბობენ, რომ ახალგაზრდა პარტიის ეს ინიციატივა სწორედ ანკვაბის კანდიდატურაზე იყო გათვლილი, რომელიც 2019 წლის დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 65-ს იქნება გადაცილებული, თუმცა თავად დე ფაქტო პრეზიდენტმა ამ ინიციატივის რეალიზებისთვის ხელმოწერების შეგროვების (მათ შორის ფინანსური) მხარდაჭერისგან თავი შეიკავა, – იღვის ღია მხარდაჭერის შემთხვევაში მას მოქმედ დე ფაქტო ხელისუფლებასთან აშკარა დაპირისპირებაში შესვლა მოუწევდა, რაც ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის; ამასთანავე, ამ-

ჟამად ახალგაზრდა კონკურენტების უკან მდგომი ძალები იდეას მაინც დაბლოკავენ. აი, 2024 წლის არჩევნებისთვის კი, წესით, ინიციატივას ბევრად მეტი მომხრე უნდა ჰყავდეს: იმ დროისთვის ხომ ანქვაბის ახალგაზრდა კონკურენტების უმრავლესობა 45 წელს გადასცდება.

რატომ არის ჩვენთვის გამორჩეულად საინტერესო ანქვაბის კანდიდატურა? ერთ დროს დე ფაქტო პრეზიდენტი, რომელიც 2014 წელს იძულებული იყო, აფხაზეთი დაეტოვებინა, გალელი ქართველობისა და ზოგადად საქართველოს მიმართ შედარებით ლოიალურ ფიგურად მიიჩნეოდა და მთავარ პრეტენზიად სწორედ ამას უყენებდნენ. თუმცა ფართოდაა ცნობილი, რომ აფხაზურ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში სრულად „პროქართველები“ არ არსებობენ.

ფართოდაა ცნობილი ისიც, რომ აფხაზეთში ნებისმიერ კანდიდატს რუსეთიდან გარკვეული ძალები მართავენ

და, შესაბამისად, ლობირებენ კიდევ. ეს თავად ოკუპირებულ რეგიონშიც იცინა, მათ შორის, იმ თავგამოდებულმა „პატრიოტებმა“, რომლებიც დალამაგდე გაჰყვირიან, „აფხაზეთმა დამოუკიდებლობა თავად მოიპოვა და დღეს შემდეგარი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

„რა თქმა უნდა, აფხაზეთი საზოგადოება მტკიცეა და აღიქვამს ემიზონდებს, როცა რუსი „მეურვეები“ ზედმეტად დიად ერევიან ადგილობრივ არჩევნებში. მაგალითად, მოქმედი პრეზიდენტის რაულ ხაჯიბას როგორც მომხრეები, ისე ოპონენტები დღემდე იხსენებენ 2004 წლის 30 სექტემბერს მის მხარდასაჭერად სოხუმის სტადიონზე გამართულ შოუს, როცა მოსკოველ პოლიტიკელოგებს აშკარად ზედმეტი მოუვიდათ და შედეგად ხაჯიბას მხოლოდ პრობლემები შეუქმნეს. თუმცა ყველასთვის ნათელია, რომ ვერცერთ აფხაზ პოლიტიკოსს მოსკოვში „თავის ხალხის“ ზურგის გარეშე ვერასოდეს ვერაფერი გამოუვა“, – წერს ამასთან დაკავშირებით „რადიო თავისუფლების“ მიმომხილველი აფხაზეთიდან ვიტალი შარია.

ასე მაგალითად, აფხაზ ანალიტიკოს ნუგზარ აგრბას ინფორმაციით, ალექსანდრე ანკვაბს რუსეთიდან უშიშროების საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალი ნიკოლაი პატრუშვივი პატრონობს, რაულ ხაჯიბას – პრეზიდენტ პუტინთან ახლოს მდგომი გუნდი, კერძოდ, მისი ყოფილი კოლეგები რუსული უშიშროებიდან, ასლან ბუანიას – ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, გენერალი ალექსანდრე ბორტნიკოვი და ა.შ.





© წინ, საქართველო!

უხვი ნადავლით

პოლონურ ზამოსცში დასრულებულ 20- და 23-წლამდე...



დავით ხეხუაძე

კილო აიტაცა და ოქროს მედალი მოიპოვა. 170 კილო...

ორ დღეში - სამი „ოქრო“

აბუ ლაბიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) გამარ...



ლაზა დიდი

პირველი ბარიერი გადალახა


მართალია ჩოგბურთელი ნიკოლოზ პასილაშვილი გუშინ საფ...



ბუდაპეშტში დასრულებულ ბერძნულ-რომაული სტილით მო...

„კლასიკოსები“ ნუვილ „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ

ის სახელით მოჭიდავე ხაჩატრიანის ძღვეის შემდეგ იგი ნა...



© ფეხბურთი

ეროვნული ლიგა. XXX ტური. „დილა“ - „საბურთალო“ 0:0...

საქართველო-საქართველო



სი. 7 ნოემბერს ნახევარფინალში ითამაშებენ: „გაგრა“ - „დინამო“...



# ს.ს.ი.პ - ნიალის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის განცხადების განცხადების მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი ნიალის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის ([www.eauction.ge](http://www.eauction.ge)) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სსიპ ნიალის ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3 ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო ნიალისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებაზე მდინარის მარჯვენა ნაპირის მხარეს.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო ნიალისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო ნიალისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტკრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენარეაბილიტაცია.</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.</p> <p>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ვერძალბა გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღისეულის მოპოვების პერიოდში გეოლოგიური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესარულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები;</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შესარულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი სხვა პირობები.</p>
6 სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქებაანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „კავთისხევის“ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - C <sub>1</sub> მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 24 630 მ <sup>3</sup> ).
7 სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქებაანის მიმდებარე ტერიტორია
8 აუქციონის საწყისი ფასი	20 021 ლარი
9 ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2 002.1 ლარი
